ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთო სამშობლო მიცოცხლე მშინარეც ამას ვღუღუნებ

# კახეთი

გურჯაანის რაიონული კომიტეტი

1990წ. მარტი №1

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

# ბოიკოტი ყველაფერს რაც საბჭოურია!

## მოგესალმებათ

გაზეთი "კახეთი", დაგადგბული კახეთის გულში გურჯაანში, რომლის დევიზია: "ღმერთო სამშობლო მიცოცხლე მშინარეც ამას ვღუღუნებ."

ჩვენ დიდი ხანია ვდუღუნებთ, დღეს დადგა დრო ძეძა-ძუხილისა, დრო ძველის ნგრევისა და ახლის შენებისა, ანუ თუ სწორად ვიტყვით, დადგა დრო შეთითხნილი ახლის ნგრევისა და იმ ძველ და ახალ გზაზე დადგომისა, რომელიც გადაარჩენს ერს და მიიყვანს ტაძრამდე.

ჩვენი გაზეთი უსურვებს ჩვენს მკითხველს, თანადგომას ეროვნულ მოძრაობასთან და ყველა ჭეშმარიტი ქართველის სანუკვარი ნატვრის, თავისუფალი, დამოუკიდებელი, ქრისტიანული საქართველოს, რაც შეიძლება მალე ასრულებას.

• • •

ა/წლის 25 თებერვალს ქ. გურჯაანში გაიმართა საპროტესტო მიტინგი, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა. მიტინგის მონაწილეებმა მოხსნეს, კულტურის ცენტრთან მდებარე ბაღში და რკინიგზის სადგურზე ლენინის ძეგლები.





დრონი მეფობენ არა მეფენი

ოცდაერთი წლის ოცდახუთიდან, დღემდე რამდენი ტაში ვუკარით.
კომპარტიასთან ვალში მყოფებმა, შევიმსუბუქეთ ეს საწუხარი.
იმავ ოცდახუთს, თვეს თებერვლისას, ერთა მოსპობის აზრთ საყუდარი,
ლენინელებმა გულში ჩაიკრან, ხალხის ნაბოძი ეს საჩუქარი.

ვაჟა-ფშაველა

### რა არის თავისუფლება?

ძმობა, ერთობა, თავისუფლება. ამ სიტყვებით გაიჟღინთა არა მარტო ყურები, არამედ ქვებიც კი; არა დროს ჩვენისქვეყნის დაარსების შემდეგ არა გვგონია ისე მძლავრად და სიყოველთაოდ როდესმე ჰსმენოდეს საქართველოს ეს სამი სიტყვა, როგორც ესმა მას ამ წარსულ 1904-05 წლებში და დღესაც ესმის და მომავალ წლებშიც გაიგონებს.

მაშასადამე უნდა ვიცოდეთ, გვესმოდეს თუ რაა ერთი, მეორე ან მესამე. ორს ტერმინს რომ სულაც თავი დავანებოთ და მხოლოდ მესამის ძალა, ე.ი. რას ქვიან თავისუფლება, ის შევიგნოთ, ესეც კმარა, რადგან ძმობა, ერთობა მარტოოდენ შტოებია იმ ხისა, რომელსაც თავისუფლება ჰქვიან. სადაც არ არის თავისუფლება იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეჰხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას; მგლების ზანაკი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ცხვრების ჯოგი, სადაც ნავარდობენ მგლები... სადაც მგლები ბუდობენ, იქ ცხვრები რას იხეირებენ? ან რა ძმობა შეიძლება მათ შორის?.. თუ შეუძლებელია, თავისუფლება[illegible] მგლებისა და



## მიმართვა

ქართველი ახალგაზრდებისადმი

ოკუპანტთა ჯარებში სამსახური პიროვნების უდიდეს დამცირებასა და მისი ეროვნული ღირსების შელახვას წარმოადგენს. ქართველი ადამიანისათვის ყოვლად მიუღებელი უნდა იყოს საბჭოთა არმიაში სამსახური, იმ არმიაში, რომელმაც არაერთი ბოროტმოქმედება ჩაიდინა საქართველოს მიმართ, რომელმაც 1921 წელს სისხლში ჩაახშო ჩვენი ერის თავისუფლება, რომელმაც განახორციელა ც ხ რ ა აპრილის გენოციდი და რომლის ძალითაც და მუქარითაც საქართველო სამოცდაცხრა წლის განმავლობაში იმყოფება რუსეთის კომუნისტური იმპერიის მორჩილებაში. მოდის პერიოდი ჩვენი ახალგაზრდების მორიგი იძულებითი გაწვევისა ოკუპანტთა ჯარებში და დღეს, როდესაც ერთიანად გამოიღვიძა ჩვენმა ეროვნულმა შეგნებამ, საჭიროა ქართველმა ახალგაზრდამ კარგად შეაფასოს, თუ რას ნიშნავს საბჭოთა სამხედრო ფორმის ჩაცმა და სათანადო გადაწყვეტილებაც მიიღოს. უარის თქმა საბჭოთა არმიაში სამსახურზე, ჭეშმარიტად გიგანტური ღვაწლის დადებაა საქართველოს დამოუკიდებლობის საქმეში. ეს ღვაწლი სამუდამოდ ჩაიწერება ჩვენი ერის მეხსიერებაში, რამეთუ მის გარეშე არ აღსრულდება საქართველოს თავისუფლებაც. ამიტომ ჩვენ ვალდებულნი ვართ განვაცხადოთ: უნდა შეწყდეს ქართველი ახალგაზრდების გაწვევა ოკუპანტთა ჯარებში!

ქართველმა კაცმა უნდა თქვას უარი დამპყრობლის არმიაში სამსახურზე!

ამ დიდ წამოწყებაში ჩვენი ორგანიზაციები თავიდან ბოლომდე მხარში ამოუდგებიან ქართველ პატრიოტებს და ყველაფერს იღონებენ მათი წმინდათაწმინდა უფლებების დასაცავად.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი ამ დიდი საქმის აღსრულებაში!

გაუმარჯოს ერთიან, დამოუკიდებელ, ქრისტიან საქართველოს!

წმ. ილია მართლის საზოგადოება

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია

/გაგრძელება/

ცხვრების შეერთება,რაღლა ვყვირით, რად ვიძახით ამ ძმობა-ერთობას? ვიძახით და უნდა ვიძახოთ,მაგრამ მგლებს ხომ არ უნდა ვეძახოთ,არამედ დაქსაქსულ-დაფანტულს, დაწიოკებულს ცხვრებს,რომ მოუყარონ თავითავს, შაერთდნენ,მოიკიქრონ,როგორ მოუარონ თავისთავს, რათა მგლების საჭმელ ლუკმად აღარა ხდებოდნენ,უნდა გამოძებნონ საგარი და გზა სავალი...

მგლებს ამ დროს იქ რა ესაქმებათ? ამ დაძახილზე ისინი თითქოს ყურსაც იყრუებენ, არც მოვლენ,ხოლო თავისიანებს,გაგიმარჯოსთ, რომ მგლებიც კი ძმობას-ერთობას უქადაგებენ...

დღესნამდე ჩვენ ცხვრები ვიყავით და ვართ კიდევაც,ხოლო ვინც მგლები არიან,ეს თქვენც კარგად იცით,ჩვენ ვიტანჯებოდით, ვირბეოდით და ამ რბევა-ცარცვამ გვაფიქრებინა მიგვემართნა ერთობისათვის,ერთი პირი, ერთი ფიქრი მოგვეპოვა და ამით შეგვეძინა ძალა..

ჩვენ მოვისურვეთ თავისუკლება:განუკითხავად არ ეჭამა და არ ეპარსა ჩვენი თანამოძმენი მოსისხლე მხეცებს...ჯერჯერობით ამაში გამოიხატება ჩვენი წადილი თავისუკალი სიც ოცხლისა,რომ ძალმომრეობას გზა მოვტაცოთ და თანდათან სრულიადაც მოვსპოთ იგი.

თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისათვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში;თავისუფლება მოქმედებაა,განხორციელებაა ნებისა,აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება,უქმად ყოკნა. თავასუფლება პაროვნებისა და ერისა ერთი ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პ იროვნება თავისუკალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუკლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი.

...იქ ვინ ნახა თავისუფლება,საცა მე დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან:არც მასწავლიან, არც მაუბნებენ,არც მამღერებენ,არც მაგალობებენ?! რა გული უნდა ძქონდეს მაშინ? რას უნდა ვგრძნობდეთ?! სხვას არაფერს, გარდა ზიზღისა,მძულვარებისა.მოწამლულ-მოშხამულია ჩემი სიცოცხლე,ვგრძნობ მხოლოდ უსიამოვნებას, სიძულვილვილს და ვწყევლი იმ ძალებს, იმ მგლებს,როსელნიც ყველა ზემორე აღნაშნულ საქმეში ხელს მიშლიან,წინ მეღობებიან და ვუცდი მარჯვე შემთხვევას შევმუსრო ისინი. როცა ეს დრო დგება და მეც მოქმედებას ვიწყებ ამ ძალთა შესამუსრავად, დასათრგუნად , მაშინვე იწყება ჩემი თავისუკალი ცხოვრება; აქ არის დასაწყისი თავასუკლებისა.და უკეთუ ვითმენ,ხმას არ ვიღებ,არაფერს ვეშბობ, მაშინ ვარ მონა,არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნებ მძულს კიდეც,მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ;მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი,ვიდრე მონაა. ა რა,მძულვარება როცა უკიდურესობამდის მიდის,მაშინ ლაჩრული გრძნობა ისპობა,მაშინ ამბობს ადამიანი: ან მოვკვდები,ან ვძლევ ჩემს მტანჯველს!..

# ინფორმაცია



7 მარტს ქ.თელავში სახ.თეატრის შენობის წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელმაც შემდგომ გადაინაცვლა დასახლებასთან სადაც საბჭოთა არმიის ნაწილი დგას.

• • •

სამხედრო ნაწილის შესასვლელი. მოითხოვენ საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველოს ტერიტორიიდან.

• • •

ეს კი ის სამხედრო ა/მანქანაა,რომელიც ხალხში ისე შემოვარდა,როგორც მგელი ცხვრის ფარაში და სასწაულად გადარჩნენ ჯერ მომიტინგეები, შემდგომ თვითონ მძღოლი.

ამ მძღოლ ჯარისკაცის მოქმედება „სწორია" თუ გავიხსენებთ ციტატას სსრკ კპ-ს ეროვნული პლატფორმიდან:"საბჭოთა მოქალაქენი შინაურულად უნდა გრძნობდნენ თავს ქვეყნის ყოველ კუთხეში".





## გარდაქმნის მხარდამხარ თუ წინაპართა კვალდაკვალ?

გარდაქმნა რომელიც მ.გარბაჩოვმა მოიშველია სულთმობრძავი იმპერიის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის, შესანიშნავადაა მორგებული ამ მოყანყალებული, ძალით შეკოწიწებული სახელმწიფოს დღევანდელი მდგომარეობის შესალამაზებლად, რომელმა გარდაქმნამაც საკმაოდ დიდი ეფექტი მოახდინა საზღვარგარეთის ქვეყნებზე და არა მარტო მათზე, ზოგი ქართველი ცდება, როდესაც გარდაქმნა ჩვენთვის სიკეთის მომტან საქმედ მიაჩნია. გარდაქმნა ეს ის მისატყუარია, რომლისგანაც ჩვენ ქართველები მომაკვდინებლად დავზარალდებით, რადგანაც გარბაჩოვის ჩანაფიქრის განხორციელებაში ჩართული საზოგადოება, როდესაც ნახავს, რომ ესეც ე.წ. სსრკ-ს მორიგი უსუსური კამპანიაა თავის გადასარჩენად, რასაც საკმაო დრო დასჭირდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა სავალალოა, ეთნო კრიზისების მოგვარება უსაშველო და ქართველი ერის დაღუპვა გარდაუვალი.

ცდებიან ისინი ვინც ფიქრობენ, რომ მშიერი დავრჩებით ურუსეთოდ, იმ ურუსეთოდ, როსელსაც თითქმის მთელი ჩვენი ეროვნული შემოსავალი მიაქვს და საცოდავ გროშებს გვიტოვებს.

ზოგიერთის აზრით მხოლოდ ჩვენ, ქართველებს გაგვაჩნია საშიშროება გარეშე მტრისაგან თავდასხმისა და ამიტომ მონობას, მორჩილებას, მორიგი, გარდაქმნის ილუზიებით დაკმაყოფილებას, უმოქმედობას და აქედან ერის გადაშენებას ამჯობინებენ, /დღეისათვის მსოფლიოში ოთხმოცდაათამდე, საქართველოზე პატარა, დამოუკიდებელი სახელმწიფოა/ რადგანაც ამჯობინებენ დავიცადოთ. ეს მაშინ, როცა საქართველოში ქართველები 50 წლის შემდეგ 30%-ღა დავრჩებით, ხოლო 100 წლის შემდეგ 7%.

პრობლემები მრავლად აქვს საქართველოს, /რომელთა უმრავლესობა დარწმუნებით შეიძლება ითქვას, დამოუკიდებლობის პირველივე პერიოდში მოიხსნება/ მაგრამ დღევანდელზე გაცილებით ბევრი და რთული პრობლემები ქონდათ ჩვენს წინაპრებს, რომლებმაც ამის და მიუხედავად გადაარჩინეს საქართველო. ამიტომ ჩვენ ვალდებულები ვართ მივბაძოთ მათ გაუტეხლობას, სიმამაცეს, მათ დიად მაგალითებს სამშობლოს დახსნისა და თავდადებისა, რამე თუ ყოველი უქმად დაკარგული დღე, თვე და წელი, ეს წვეთ-წვეთ დაკარგული ქართველობა და საქართველოა.

დღეს უკვე ველარ ფარავს იმპერია თავის სახეს და მისწრაფებებს, სურვილს თავის სამუდამო მონობაში მოაქციოს ერები, რომლის ერთერთი დადასტურებაა /სხვა მრავალთან ერთად/ პრეზიდენტის არჩევა, განუსაზღვრელი უფლებებით.

ვინაიდან დღეს ის ამინდია და ის საძირკველი ჩაყრილი, რომ აუცილებელია დიდი და პატარა დავდგეთ მხარდამხარ, რომ ვიმოქმედოთ რაც შეიძლება სწრაფად, რადიკალურად და ამავე დროს გონივრულად, რათა მივაღწიოთ მიზანს, რასაც რომის ორი საუკუნეა ესწრაფის ქართველი ერი და რასაც თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო ჰქვია, საჭიროა ვიაროთ არა გარდაქმნის მხარდამხარ, არამედ

წინაპართა კვალდაკვალ!

მ.გოგიაშვილი

## ინფორ — — მაციები

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის კახეთის რეგიონალურმა კომიტეტმა მიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რათა უმაღლეს ლიგაში შეყვანილი იქნეს კახეთის რაიონებიდან ერთ-ერთი ფეხბურთელთა გუნდი.

აღნიშნულ მიმართვას გარდა გურჯაანის და თელავის სედპ-ს კომიტეტის წარმომადგენლებისა ხელი მოაწერეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციის 15 მარტის სხდომის პრეზიდიუმის წევრებმა: თ.სუმბათაშვილმა, გ.ჭანტურიამ, რ.მიქაბერიძემ, თ.ქორიძემ თ.ფიფიამ, და სხვებმა.



1990 წლის 25 თებერვალი. სოფელ გურჯაანის მთავარანგელოზის ეკლესიაში.

უკვდავია ხსოვნა 1921 წლის თებერვალში საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავდადებული პატრიოტებისა.



25 თებერვლის მიტინგი გურჯაანში

## ძვირფასო დებო და ძმებო!

დღეს რუსეთის მოდერნიზებული იმპერია თავისი ერთგული დამცველის, თავისივე ხალხის ჯალათის, არმიის იმედით ცოცხლობს.

არმიისა, რომელიც დღეს გარეშე მტრის წინააღმდეგ კი არ იბრძვის არამედ თავისი ხალხის დასასჯელად და დასათრგუნავად არის შემართული, მაგალითები გნებავთ? 9 აპრილი, ფერგანა, ბაქო დუშანბე და კიდევ ვინ იცის რამდენი...

ამაოა საბჭოთა იმპერიალიზმის მცდელობა ამ გახრწნილი არმიით გაიხანგრძლივოს ბატონობა. შორს არ არის ის დღე როცა საბოლოოდ დაემხობა იმპერიის ეს უკანასკნელი ციტადელი.

საქართველოს ახალგაზრდობამ არ უნდა იმსახუროს დამპყრობლის არმიაში.

მზია შერვაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბოიკოტი საბჭოთა არჩევნებს!

## ინფორმაციები

1989წლის 15სექტემბერს გაიმართა სედპ-ს I-ლი კონგრესი ს.გამ.რჯვებაში.

— • —

1989 წლის 3 ივნისს მოხდა სედპ-ს გურჯაანის კომიტეტის დაარსება.

— • —

1989 წლის 23 ნოემბერს სედპ-ს გურჯაანის ორგანიზაციის წევრები იმყოფებოდნენ სამაჩაბლოში.

— • —

1989 წლის 7 ნოემბარს სედპ-ს გურჯაანის კომიტეტმა სხვა ორგანიზაციებთან ერთად მოაწყო საპროტესტო,სამგლოვიარო მიტინგი.

— • —

1990 წლის 8 იანვარს ქ.გურჯაანში ჩატარდა მიტინგი რომლის მონაწილეთა ნაწილი მიტინგის დამთავრების შემდეგ ჩავიდა ქ.თბილიში,1990 წლის 5 იანვარს, მთავრობის სასახლის წინ, ეროვნულ-დამოუკიდებლობის პარტიის,წმინდა ილია მართლის საზოგადოების და მონარქისტული პარტიის ინიციატივით მოწყობილი აქციის და მოშიმშილეთა მხარდასაჭერად.
მირითადი მოთხოვნა იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

— • —

1990 წლის 11თებერვალს გურჯაანის კულტურის ცენტრში გაიმართა შეხვედრა-დიალოგი. რაიონის ინტელიგენციას შეხვდნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის მთავარი კომიტეტის წარმომადგენლები. შეხვედრამ ღრმა ურთიერთ გაგების ატმოსფეროში ჩაიარა.
შეხვედრა-დიალოგი მიჰყავდა ირაკლი წერეთელს.

— • —

12 იანვარს ქ.გურჯაანში ჩატარდა მიტინგი სედპ-ს და ედპ-ს გურჯაანის რაიონულ კომიტეტების ინიციატივით,აქციის ორგანიზატორთა მოწოდებას მხარი დაუჭირეს და 15 იანვრიდან მოეწყო ქარხანა "საქელექტრომანქანის" და საკონსერვო ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა სამ დღიანი გაფიცვა.

— • —

20 იანვარს ქ.გურჯაანში რაიკომის შენობის წინ გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი რომელზეც ხალხის მოთხოვნით თანამდებობიდან გადაყენებული იქნა რაკომის პირველი მდივანი დ.სარიშვილი,რომელსაც გარდა სხვა სამსახურებრივი დამახინჯებებისა, პასუხი აგებინეს ანტიეროვნული მოქმედებისათვის.

— • —

27 იანვარს სედპ-ს გურჯაანის კომიტეტის ინიციატივით გაიმართა მიტინგი, რომელმაც მაღალ ეროვნულ-პოლიტიკური სულისკვეთებით ჩაიარა.მიტინგზე გარდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გურჯაანის წარმომადგენლებისა სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნი ზვიად გამსახურდია, ბ-ნი ირაკლი წერეთელი, წარმომადგენლები საგარეჯოდან,თელავიდან და სხვა.მიტინგს რამდენიმე ათასი კაცი ესწრებოდა.

— • —



თხუთმეტი იანვრის აქცია



მიტინგი რაიკომის შენობასთან 15.01.90წ.

უკანასკნელი რამდენიმე თვის განმავლობაში სედპ-ს გურჯაანის კომიტეტმა მონაწილეობა მიიღო საკუთარ,თუ სხვა ორგანიზაციებთან ერთობლივად მოწყობილ მრავალ პოლიტიკურ აქციაში /მიტინგები, შეხვედრა-დიალოგები და სხვა/ როგორც რაიონში,ასევე მის გარეთ, ქალაქებში: თბილისი,ცხინვალი, გორი, თელავი,ყვარელი,საგარეჯო.სოფლებში: ველისციხე,ახაშენი,ჩუმლაყი, ქოდალო /ლაკბეს წ/საცავის მშენებლობასთან დაკავშირებით/,კაჭრეთი,მელაანი,შაშიანი,ზაკურციხე,კარდენახი,კოლაგი და სხვა.

### სიკვდილი ან გამარჯვება

რადგან მოკლეა ცხოვრება ჩვენი,
ზოგისთვის ძლიერ მოკლე,
ადრე თუ გვიან ნაჯაკ - ნატანჯი
ერთ დღეს მეც უნდა მოვკვდე.

ერთ რამეს შევთხოვ ღმერთს
სასოებით,
რაკი ეს უნდა მოხდეს,
მან აღმასრულოს თავისუფლების,
თუნდაც ერთი დღის მომსწრე.

ვთვლი საქართველოს ვარ მე
წილხვედრი,
გინდ ცხრა სიცოცხლე მომცე,
მუდამ ვიქნები მლოცველი მისი
ჯაჭვის პერანგა მოყმე.

და თუ მოკლეა წუთისოფელი,
დე მოსახდენი მიხდეს,
მხოლოდ ერთს ვნატრობ-
ჩემი სამშობლოს
ნათელ დღისათვის მოვკვდე.

ჩვენს წინაპართა ღაღ შეძახილის
მარად ვიქნები მომხრე,
ძმებო "სიკვდილი ან გამარჯვება",
დე მოსახდენი მოხდეს !

"გურჯნელი"

---

რუსლან
მიქაბერიძე

დადგა გარდაქმნის ჟინალი,
სულაც არ გასაკვირველი,
ნიკოლოზ მეორის ტახტზე
ადის მიხეილ პირველი.

— • —

რომ არჩევნებით ვერ მოვა
თავისუფლების ერა,
მეტალურგები მიხვდნენ და
სახალხო ფრონტი ვერა.

— • —

ქალის და ბავშვის მოკვლა უწყალო
ჯარი რუსული,
ბარი რუსული,
ჩექმა რუსული,
ჩეხვა რუსული,
ტყვია რუსული,ტანკი რუსული
და მერე უკვირთ ამ შობელძაღლებს
განწყობილება ანტირუსული.

---

საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის გურჯაანის ორგანიზაცია იკრიბება ყოველ სამშაბათს და პარასკევს საღამოს 6 საათზე.
ჩვენი მისამართია: ქ.გურჯაანი, ნონეშვილის 16, III -ე სართული, ოთახი 1;
ტელ: 2 - 39 - 92

რედაქტორი: მევლუდი გოგიაშვილი.